შპს „ორიფლეიმ ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2022

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	786,416	740,932
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	537,595	748,030
გადახდილი ავანსები		7,901	2,806
მარაგები	7	2,255,632	2,781,751
სხვა მიმდინარე აქტივები		20,307	24,949
საგადასახადო აქტივი		322,312	
სულ მიმდინარე აქტივები		**3,930,165**	**4,298,467**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,777,592	1,888,907
არამატერიალური აქტივები		2,842	4,036
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,780,433**	**1,892,942**
სულ აქტივები		**5,710,598**	**6,191,410**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,180,091	5,194,868
საგადასახადო ვალდებულებები		203,013	32,403
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,383,104**	**5,227,271**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**0**	**0**
სულ ვალდებულებები		**3,383,104**	**5,227,271**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	8,734,430	8,734,430
გაუნაწილებელი მოგება		-7,770,293	-8,885,090
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		1,363,355	1,114,797
სულ კაპიტალი		**2,327,492**	**964,137**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,710,597**	**6,191,409**

დირექტორი:

ტატიანა მერეუტა

27 სექტემბერი, 2023

შპს „ორიფლეიმ ჯორჯია“
მოგება/ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2022

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი	12	17,130,277	20,008,237
თვითღირებულება	13	-8,541,150	-11,077,796
სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი			31,019
წმინდა საკურსო შემოსავალი/ხარჯი		542,074	689,817
სულ შემოსავალი		**9,131,201**	**9,651,277**
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1,405,673	-997,129
ცვეთა და ამორტიზაცია		-136,323	-196,499
იჯარის ხარჯი		-70,068	-68,606
ფინანსური ხარჯი			-77,444
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	-6,128,645	-7,196,803
სხვა წმინდა საკურსო შემოსავალი/ხარჯი		-27,138	0
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**1,363,355**	**1,114,797**
მოგების გადასახადი			
პერიოდის შედეგი		**1,363,355**	**1,114,797**

დირექტორი:

ტატიანა მერეუტა

27 სექტემბერი, 2023

შპს „ორიფლეიმ ჯორჯია“

კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2022

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 31.12.2020 მდგომარეობით	8,734,430	(8,885,089)	(150,659)
პერიოდის შედეგი	-	1,114,797	1,114,797
კაპიტალი 31.12.2021 მდგომარეობით	**8,734,430**	**(7,770,292)**	**964,138**
პერიოდის შედეგი	-	1,363,355	1,363,355
კაპიტალი 31.12.2022 მდგომარეობით	**8,734,430**	**(6,406,937)**	**(2,327,493)**

დირექტორი:

ტატიანა მერეუტა

27 სექტემბერი, 2023

შპს „ორიფლეიმ ჯორჯია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2022

	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	
წლის მოგება	1,363,355
კორექტირება:	
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**1,363,355**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	210,434
ცვლილებები მარაგებში	-5,096
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	526,118
ცვლილება სხვა აქტივებში	-317,670
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	-2,014,777
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	170,610
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**-67,025**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	112,509
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**112,509**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
სასესხო ვალდებულებები	0
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**0**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	0
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	45,484
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	740,932
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**786,416**

დირექტორი:

ტატიანა მერეუტა

27 სექტემბერი, 2023

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია ორიფლეიმი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მარეგისტრირებელი ორგანო არის საჯარო რეესტრი (ს/კ 202166459). იგი დაარსდა 2000 წლის 5 სექტემბერს.

კომპანია დაარსებულია ჰოლანდიური კომპანიის Oriflame Hodings BV-ს მიერ, რომელიც 100% წილის მფლობელია.

კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 61.

შპს „ორიფლეიმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი არის ტატიანა მერეუტა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა კოსმეტიკური და პარფიუმერული საქონლის იმპორტი და რეალიზაცია. რეალიზაცია ხორციელდება ქსელური მარკეტინგის მეშვეობით.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

დასახელება	საციცოცხლო ვადა
შენობა-ნაგებობები	20
ოფისის ინვენტარი	8
კაპიტალურ დანახარჯები	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა ვადა არის 8 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა დამოკიდებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის იჯარა თუ შეთანხმება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი შეასრულებს პირობით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ

ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის" მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასს 15. კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16. ლიზინგი (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულებიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-

შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბურალტრო აღრიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

ფასიკ 22 "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 "გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ" (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	340,904	294,739
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	445,513	446,193
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**786,416**	**740,932**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	537,596	748,030
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	20,307	2,806
წინასწარ გაწეული ხარჯები	7,901	24,949
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**565,804**	**775,785**

7. მარაგები

მარაგები	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	2,221,344	2,755,763
მასალები და სხვა	34,289	25,988
სულ მარაგები	**2,255,632**	**2,781,751**

8. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	კაპიტალური დანახარჯები	სულ
ბალანსი 31.12.2020	572,559	2,101,643	711,778	178,102	346,042	119,814	98,606	4,128,544
შეძენა		-	-	39,268	-	-	-	39,268
ჩამოწერა		-			- 424			- 424
ბალანსი 31.12.2021	572,559	2,101,643	711,778	217,370	345,618	119,814	98,606	4,167,388
შეძენა			87,775	12,246		5,085		105,105
ჩამოწერა			- 145,452		- 59,309	- 5,085	- 98,606	- 308,452
ბალანსი 31.12.2022	572,559	2,101,643	654,101	229,615	286,309	119,814	-	3,964,041

ცვეთა	მიწის ცვეთა	შენობა-ნაგებობის ცვეთა	მანქანა-დანადგარის ცვეთა	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	სატრანსპორტო საშუალების ცვეთა	კაპიტალური დანახარჯების ცვეთა	სულ
ბალანსი 31.12.2020	-	939,494	583,254	126,005	287,445	63,514	84,337	2,084,049
ცვეთა		65,409	28,668	32,917	45,013	8,156	14,269	194,432
ჩამოწერა								-
ბალანსი 31.12.2021	-	1,004,903	611,922	158,923	332,457	71,670	98,606	2,278,481
ცვეთა		65,409	- 26,140	17,168	- 58,358	8,495	- 98,606	- 92,032
ჩამოწერა								-
ბალანსი 31.12.2022	-	1,070,311	585,782	176,091	274,099	80,165	-	2,186,449
ბალანსი 31.12.2020	572,559	1,162,150	128,524	52,096	58,597	56,300	14,269	2,044,495
ბალანსი 31.12.2021	572,559	1,096,741	99,856	58,447	13,161	48,143	-	1,888,907
ბალანსი 31.12.2022	572,559	1,031,332	68,319	53,524	12,210	39,648	-	1,777,592

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
სხვა ვალდებულებები	-177,610	-91,601
საგადასახადო ვალდებულებები	-203,013	-32,403
სავაჭრო ვალდებულებები	-3,002,480	-5,103,267
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**--3,383,104**	**-5,227,271**

10. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	12/31/2021	12/31/2021
მიღებული სესხი ევროში	0	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**0**	**0**

თავდაპირველად სესხი გაცემული იყო ORIFLAME COSMETICS S.A., -ის მიერ, 1 300 000 ევროს ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი 13%, გაცემის თარიღი 21.05.2013 (ხელშეკრულების თარიღი - 01.04.2013), სესხის ვადა - 5 წელი.. 2020 წლის 31 მარტს გაფორმდა ახალი შეთანხმება რომლის ძალაში შესვლის თარიღისთვის სესხის თანხა შეადგენდა 2,740037.16ლარს, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის თანხა შეადგენდა 1,731,447 ლარს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 13.98%, 2021 წლის 31 მარტს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე 2021წლის ოქტომბრამდე სესხის თანხა სრულად დაიფარა.
2022 წლის განმავლობაში კომპანიას ახალი სესხი არ აუღია

11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 31.12.2021 წლის მდგომარეობით შეადგენდა 8 734 430 ლარს. 2022 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა. შესაბამისად 31.12.2022 წლის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 8 734 430 ლარს.

2021 და 2022 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გამოცხადებულა და არ გაცემულა

12. შემოსავლები

შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	-16,958,002	-19,634,532
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	-120,242	-164,420
სხვა შემოსავალი	--52,033	-209,285
სულ შემოსავალი	**--17,130,277**	**-20,008,237**

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2022	2021
სხვა ხარჯები	834,265	4,429,050
წარმომადგენლობითი ხარჯები	57,996	23,363
სარეკლამო ხარჯი	126,461	604,154
სადაზღვევო ხარჯი	17,111	16,640
საკონფერენციო ხარჯები	174,853	63,757
გადაზიდვის და ტრანსპორტირების ხარჯი	611,124	691,553
შეფუთვის ხარჯები	131,504	121,641
კომუნიკაციის ხარჯი	35,006	29,723
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	51,273	62,335
კონსულტანტების ბონუსები და პრემიები	124,535	123,205
კომუნალური ხარჯები	35,685	35,401
დაცვის ხარჯები	119,958	95,946
საკომისიო ხარჯები	241,069	275,900
საწვავის ხარჯი	21,012	25,435
ჩამოწერის ხარჯი	13,960	14,966
ადგილობრივი ბონუსები	3,010,984	0
მომსახურების ხარჯები	485,822	581,090
მოგზაურობის ხარჯები	36,026	2,643
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	**6,128,645**	**7,196,803**

14. არასაოპერაციო შემოსავლები.ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-240,712.87
წმინდა საკურსო შემოსავალი/ხარჯი	-542,073.83
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	267,850.53
სულ არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	**-514,936.17**

15. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, 2019 წლის 1 იანვრიდან კი ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმაა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს :

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას არ განუხორციელებია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, გარდა მენეჯმენტზე გაცემული ხელფასებისა. 2022 წლის მდგომარეობით მენეჯმენტზე გაცემული შემოსავალი/სარგებელი შედგენს 135,103.74 ლარს, მათ შორის ხელფასის სახით გაცემულია - 115,421.02 ლარი.

17. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.